განახლებულია 01.05.2026 წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ეკოლოგია/ Ecology**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ეკოლოგიის ბაკალავრი/Bachelor of Ecology
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	პროფესორი დავით ბარათაშვილი - baratashvili.daviti@bsu.edu.ge ასოცირებული პროფესორი ინგა დიასამიძე - diasamidze.inga@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი)	180 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**პროგრამის მიზანია:** ✓ მისცეს სტუდენტს საბაზო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ეკოლოგიასა და ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ დისციპლინებში; შეასწავლოს მას ზეორგანიზმული ცოცხალი სისტემების ეკოლოგიური კანონზომიერებები, პოპულაციების დინამიკა და მათი ურთიერთობა გარემოსთან, ცოცხალ ორგანიზმებსა (მიკროორგანიზმის, სოკოს, მცენარის, ცხოველის, ადამიანის) და გარემოში მიმდინარე ძირითადი პროცესები, გარემოს (რადიაციული, ქიმიური და ტოქსიკოლოგიური) დაბინძურების, ეკოსისტემების თვითრეგულაციის, გენეტიკური ტვირთის, კლიმატის ცვლილების, ეკოლოგიური მონიტორინგის, სამართლის, გარემოს მდგრადი განვითარების და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიმართულებით. ✓ უზრუნველყოს თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში (ლაბორატორიაში და ველზე მუშაობისას) გამოყენების უნარ–ჩვევების გამომუშავება ეთიკის პრინციპების დაცვით; ინდივიდუალური და გუნდური ეფექტური მუშაობით მოპოვებული ინფორმაციის, მონაცემთა ანალიზის, არგუმენტაციის, პრობლემების შეფასების, შესაბამისი დასკვნისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარება;

	✓ ჩამოუყალიბოს სტუდენტს პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობა სათანადო ეთიკური ნორმების დაცვისა და გარემოს დაცვის, ბუნების ეთიკურ-ესთეტიკურ და პრაქტიკულ ღირებულებათა დამკვიდრების პროცესში; დაეხმაროს საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენაში.
სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება** ✓ ავლენს საბაზო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ეკოლოგიის დარგში და მასთან დაკავშირებული მეცნიერებების თანამედროვე მიღწევების, გარემოს მდგრადი განვითარების მნიშვნელობასა და კონსერვაციული ბიოლოგიის შესახებ; შეუძლია მათი კრიტიკული შეფასება; ✓ აცნობიერებს ცოცხალი სისტემების ზეორგანიზმული დონეების (პოპულაცია, თანასაზოგადოება, ეკოსისტემა, ბიოსფერო) ურთიერთკავშირსა და ეკოლოგიურ კანონზომიერებებს, ასევე, ცოცხალი ორგანიზმების (მიკროორგანიზმის, სოკოს, მცენარის, ცხოველის) ბიომრავალფეროვნების სისტემატიკასა და ტაქსონომიას, ბიოევოლუციას, გეოგრაფიულ გავრცელებას, ურთიერთობის ტიპებს, ეკოლოგიურ თავისებურებებს და კონსერვაციის მნიშვნელობას; ✓ გააზრებული აქვს კლიმატის ცვლილების, გარემოს დაბინძურების (რადიაციული, ქიმიური, ტოქსიკოლოგიური), ანთროპოგენული ფაქტორის გავლენის, გარემოსდაცვითი გამოწვევების, პოპულაციის და ეკოსისტემების თვითრეგულაციის, გენეტიკური ტვირთის, ეკოლოგიური მონიტორინგის, სამართლის და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ძირითადი პრინციპები. **უნარი** ✓ მსჯელობს ეკოლოგიური სისტემების დაცვის, კონსერვაციისა და მათი მდგრადი გამოყენების შესახებ; აანალიზებს ეკოლოგიასა და მასთან დაკავშირებულ დისციპლინებში ინფორმაციას, გარემოსდაცვით გამოწვევებს და შეუძლია დასკვნის ჩამოყალიბება; ✓ ირჩევს ექსპერიმენტულ მეთოდებს, წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად, საზღვრავს საკვლევ ობიექტზე ექსპერიმენტების ჩატარებას და მიღებული შედეგების შესაბამისობას კვლევის მიზანთან. იყენებს გეოგრაფიულ ინფორმაციულ სისტემებს, ახდენს მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებას; ✓ იყენებს დარგის შესაბამის ეკოლოგიური მონაცემებს (საკვლევი ობიექტის მოძიება, იდენტიფიცირება, ჩაწერა/ჩახატვა, საველე მუშაობა, საველე ჩანაწერის გაკეთება, მოპოვებული მასალის გაზომვა, ჰერბარიუმის გამოშრობა, მომზადება, ანალიზი, დამუშავება და ინტერპრეტირება) და აქვს შესაბამის ლაბორატორიულ და საველე აპარატურა-მოწყობილობებთან მუშაობის უნარი;

	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა ✓ ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზების და დროის მართვის უნარს; აქვს ლიტერატურის მოძიების, დამოუკიდებლად დამუშავებისა და ახალი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ცოდნის გაღრმავების უნარი; ✓ საკუთარ საქმიანობას ახორციელებს ეთიკის პრინციპების დაცვით. წერილობით და ვერბალურად არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს და მონაწილეობს პროფესიულ მსჯელობაში.